ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №195

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლოატაციის (მოვლა-პატრონობა) 2012 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცდეს ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლოატაციის (მოვლა-პატრონობა) 2012 წლის მიზნობრივი პროგრამა თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია 2012 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე